

საქართველოს კანონი

“კურორტებისა და საკურორტო ადგილების
სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის
შესახებ

მუხლი 1. “კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ” საქართველოს კანონში (სსმ №, მუხლი № 1998 წელი) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის ე) ქვეპუნქტი:

“ე) ნაგავსაყრელების მოწყობა და საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების ნებისმიერი ფორმით განთავსება (გარდა მცირე ზომის სანაგვე ყუთებისა).”

ბ) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:

“4. ამ ზონის ტერიტორიაზე იკრძალება საკანალიზაციო სისტემის იმდგვარი დაპროექტება და ექსპლოატაცია, რაც გამოიწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, უარყოფითად იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე, აგრეთვე კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ მდგომარეობაზე. იკრძალება შავი ძლის სანაპირო ზოლზე განლაგებული კურორტებისა და საკურორტო ადგილების საკანალიზაციო სისტემების სანიტარული დაცვის პირველი ზონის სანაპირო აკვატორიაში ან/და პლაჟების მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულება.”

გ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დ) ნაგავსაყრელების მოწყობა და საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების ნებისმიერი ფორმით განთავსება (გარდა მცირე ზომის სანაგვე ყუთებისა).”

ღ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:

“4. ამ ზონის ტერიტორიაზე იკრძალება საკანალიზაციო სისტემის იმდგვარი დაპროექტება და ექსპლოატაცია, რაც გამოიწვევს ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურებას, უარყოფითად იმოქმედებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე, აგრეთვე კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარულ მდგომარეობაზე.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი